

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: ქართული ფილოლოგია / Georgian Philology

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფილოლოგიის ბაკალავრი (ქართული ფილოლოგია)  
BA in Philology (Georgian Philology)

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS კრედიტი

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 240 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- **50 ECTS** კრედიტი ეთმობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა სტუდენტისათვის სავალდებულო ე.წ. საფაკულტეტო სასწავლო კურსებს.
- **120 ECTS** კრედიტი განკუთვნილია სტუდენტის მიერ არჩეული ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობისათვის (საბაკალავრო პროგრამისათვის).
- **60 ECTS** კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი დამატებითი საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) არჩევა. დამატებითი პროგრამის არჩევა შესაძლებელია როგორც ძირითადი სპეციალობის განმახორციელებელ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ისე თსუ-ს სხვა ფაკულტეტებზეც. დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შესაძლებლობა აქვს 60 კრედიტი გამოიყენოს თავისი ან სხვა საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების/მოდულების შესაწავლად (ეს შეიძლება იყოს მისი ძირითადი ან დამატებითი სპეციალობის, მისივე ფაკულტეტის რომელიმე სხვა სპეციალობის, სხვა ფაკულტეტის ამა თუ იმ სპეციალობის საგანი/მოდული. საგნის ასარჩევად დაბრკოლება შეიძლება გახდეს ამ საგნის შესწავლის წინაპირობა ან ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე მსმენელთა რაოდენობის შეზღუდვა, ან ამ საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა სიმცირე). დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია კრედიტების გარკვეული რაოდენობა (მაქს. 40 კრედიტი) გამოიყენოს უცხო ენის შესასწავლად ან უცხო ენის ცოდნის გასაღმავებლად.
- **10 ECTS** კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისთვის (სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, რომ თავისი პროფესიული თუ პიროვნული განვითარების მიზნით, მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი (მათ შორის უცხო ენა).

ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობის 120 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

**20 ECTS** კრედიტი განკუთვნილია ე.წ. საკომპეტენციო კურსებისათვის (იგულისხმება ძირითადი ფილოლოგიური კომპეტენციები).  
**60 ECTS** კრედიტი ეთმობა სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს, **30 ECTS** კრედიტი – სპეციალობის არჩევით საგნებს, ხოლო **10 ECTS** კრედიტი – საბაკალავრო ნაშრომს.

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის დაგროვება და ძირითადი პროგრამის 170 კრედიტის (50+120) შესრულება.

**სწავლების ენა:** ქართული.

**პროგრამის მიზანი:** ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია, კურსდამთავრებულს მისცეს ზოგადად ჰუმანიტარულ და ფილოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებული ინტერდისციპლინური და კომპლექსური საკითხების ცოდნა და გააცნოს მას ლიტერატურათმცოდნეობითი და ენათმეცნიერული კვლევის თავისებურებები, დანიშნულება და მნიშვნელობა ქართული ენისა და ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლების საშუალებით; განუვითაროს ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზისა და კრიტიკული შეფასების, მათი ისტორიულ და კულტურულ ჭრილში განხილვის, კომენტირებისა და ინტერპრეტირების უნარი, შეასწავლოს ქართული ენის სტრუქტურა და ისტორია, მისცეს ერთ-ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენის ცოდნა საბაზისო დონეზე, რათა შეძლოს ლიტერატურული წყაროების ორიგინალში მოძიება და წაკითხვა; გამოუმუშაოს სტუდენტს პრაქტიკული უნარები შემდეგი მიმართულებებით: ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის და საგამომცემლო საქმის სფეროებში, ხელი შეუწყოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან დამკვიდრებას კულტურული და მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნების გააზრებასა და პატივისცემას, ქართული ლიტერატურის და კულტურის სიღრმისეულ გააზრებას ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში.

პროგრამის მიზანია ფილოლოგიის ბაკალავრს ქართული ფილოლოგიის სპეციალობით ჰქონდეს ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ კომპლექსური ცოდნა, რათა მან პედაგოგიური მიმართულებით დამატებითი კვალიფიკაციის მიღების შემთხვევაში შეძლოს დასაქმება ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად სკოლაში, ასევე შეეძლოს მუშაობა მასმედიის და საგამომცემლო სფეროში, საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების საფუძველზე კი სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობის გაგრძელება. კურსდამთავრებულის ფართო ჰუმანიტარულ-ფილოლოგიურ განათლება და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ჩვევები, მას არა მხოლოდ ქართული ფილოლოგიის, არამედ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პროფილით სწავლის გაგრძელების პერსპექტივას აძლევს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ერთიანი ეროვნული გამოცდები.

სწავლის შედეგი: ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებს:

1. ცოდნა და გაცნობიერება	<p><b>კურსდამთავრებულმა იცის:</b></p> <ol style="list-style-type: none"><li>1.1. ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპები, კონცეპტები და მეთოდები, ფილოსოფიის ისტორიის, პოლიტიკისა და რელიგიის ფილოსოფიის, ეთიკის, ესთეტიკისა და ლოგიკის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საფუძვლები;</li><li>1.2. საქართველოს ისტორიის ძირითადი ეტაპები, ფაქტები და მოვლენები მსოფლიოს გეოპოლიტიკურ კონტექსტში;</li><li>1.3. აკადემიური წერის ძირითადი პრინციპები;</li><li>1.4. რომელიმე სხვა (არამაპროფილებელი) სპეციალობის საფუძვლები, ძირითადი თეორიები, პრინციპები და კვლევის მეთოდები (არჩევით);</li><li>1.5. ძირითადი ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიები, პრინციპები და კვლევის მეთოდები;</li><li>1.6. ლიტერატურის თეორიის საფუძვლები;</li><li>1.7. ლინგვისტური კომპარატივისტიკის ძირითადი თეორიები და პრინციპები, შედარებითი ენათმეცნიერების საფუძვლები;</li><li>1.8. თარგმანთმცოდნეობის ძირითადი თეორიები და პრინციპები;</li><li>1.9. ინგლისური ენა საშუალო (B1) ან საშუალოზე მაღალ (B2) დონეზე; არჩევის შემთხვევაში რომელიმე სხვა ევროპული ენა მინიმუმ A2 დონეზე;</li><li>1.10. ერთ–ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენის საბაზისო კურსი (არჩევით);</li><li>1.11. ერთ–ერთი ევროპული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ეტაპები, ჟანრები, მნიშვნელოვანი ავტორები და მათი ნაწარმოებების კონცეპტუალური და სტილისტური მახასიათებლები (არჩევით);</li></ol>
--------------------------	--

	<p>1.12. ფილოლოგიის როგორც დარგის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, ქართული ფილოლოგიის ისტორიის, მისი თანამედროვე დონისა და პერსპექტივების წარმოჩენა ფილოლოგიური კვლევების ზოგად კონტექსტში. ქართული ფილოლოგიის ძირითადი თეორიები, პრინციპები და მეთოდები;</p> <p>1.13. ქართული ენის განვითარების ძირითადი ეტაპები; ქართულ ენაში მიმდინარე ძირითადი ენობრივი მოვლენების დიაქრონიული და სინქრონიული აღწერა, ენობრივ ცვლილებათა ხასიათი და ქრონოლოგია. ძველი ქართული სამწერლობო კერები და მათი მთარგმნელობითი მეთოდები;</p> <p>1.14. თანამედროვე ქართული ენის ფონეტიკა-ფონოლოგია, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, ქართული ენის სტრუქტურული მოდელები და მათი ტიპოლოგიური შედარება-შეპირისპირება თანამედროვე ინდო-ევროპულ ენებთან; ენის დონეების ერთმანეთისგან გამიჯვნა, მორფონოლოგიური და მორფოსინტაქსური პროცესების გარჩევა; თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი და ამ სფეროებთან დაკავშირებული თეორიები და პრაქტიკული საკითხები;</p> <p>1.15. ძველი ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურისათვის დამახასიათებელი ძირითადი ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებები; ამ სფეროსთან დაკავშირებული თეორიები და პრაქტიკული საკითხები;</p> <p>1.16. ქართული პალეოგრაფიის საფუძვლები და ძირითადი თეორიული საკითხები (დამწერლობის წარმოშობა, დამწერლობის ტიპები, ეპიგრაფიკის, კოდიკოლოგიისა დიპლომატიკის საფუძვლები; ქართული ანბანის ძველი სახეობები (ასომთავრული, ნუსხური და ადრეული მხედრული);</p> <p>1.17. ქართული ენის სტილისტიკისა და სალიტერატურო ქართულის ნორმალიზაციის საკითხები;</p> <p>1.18. ქართული ენის დიალექტოლოგიისა და ლექსიკოლოგიის საკვანძო საკითხები; ქართული ენის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური თავისებურებები; სოციალურ-კულტურული, ყოფითი, პროფესიული და სხვა ფაქტორების გავლენა თანამედროვე სალიტერატურო ენასა და მის დიალექტებზე.</p> <p>1.19. ძველი და ახალი ქართული ლექსთწყობის საფუძვლები და ხალხური პოეტიკის</p>
--	---

	<p>თავისებურებები; ტროპი და ტროპული მრავალსახეობა; პოეტური ლექსიკის, ფონატიკის, სემანტიკისა და სინტაქსის ურთიერთმიმართება.</p> <p>1.20. ქართული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი ეტაპები, ჟანრები, მნიშვნელოვანი ავტორები და მათი ნაწარმოებების კონცეპტუალური და სტილისტური მახასიათებლები;</p> <p>1.21. ქართული ზეპირსიტყვიერების ზოგადი და ეროვნული სპეციფიკური თავისებურებები, ძირითადი ჟანრები.</p> <p>1.22. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი საკითხები (ძველი ქართული მწერლობის ჟანრები და მიმართულებები, აგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია; ქართული მწერლობის მიმართება ბიბლიასთან, ძველი და ახალი აღთქმის წიგნების შინაარსი და პრობლემატიკა; საერო ლიტერატურა; ქართული ორიგინალური აგიოგრაფიის ტექსტების საისტორიო და მხატვრული ღირებულებები, ქართული ჰიმნოგრაფიის სპეციფიკა და ქართული ლიტერატურის ადგილი შუა საუკუნეების მხატვრული აზროვნების სისტემაში. შუა საუკუნეების სასულიერო მწერლობის ძეგლების რედაქციების სპეციფიკა და მნიშვნელობა მედიევისტის ზოგადი თვალსაზრისით; ქართული წვლილი შუა საუკუნეების ევროპულ მწერლობაში.</p> <p>1.23. ძველი ქართული საერო ლიტერატურის საკვანძო საკითხები, რუსთველოლოგიის ძირითადი პრობლემატიკა, XII-XVIII საუკუნეების ქართველი მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა შემოქმედება;</p> <p>1.24. XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ძირითადი ტენდენციები. ქართული რომანტიზმი და მისი სპეციფიკა. რეალისტური მიმართულება ქართულ მწერლობაში: XIX საუკუნის ქართული მწერლობა (მხატვრული, კრიტიკულ-პუბლიცისტური, სატირულ-იუმორისტული, ეპისტოლარული და სხვ.).</p> <p>1.25. XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი საკითხები (ქართული პროზისა და პოეზიის ჟანრობრივი და ესთეტიკური თავისებურებები; 20-იანი წლების ლიტერატურული სკოლები და დაჯგუფებები, ქართული ინტელექტუალური ემიგრაცია და სხვ.);</p> <p>1.26. თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესების ძირითადი ტენდენციები და მათი</p>
--	---

მიმართება მსოფლიო ლიტერატურული ანალიტიკის სისტემებთან;

1.27. მხატვრული სტილისა და სტილისტიკის საკითხები; ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი რესურსების მნიშვნელობა; ლიტერატურული სახისმეტყველება; ლიტერატურული ნაწარმოების ინტერდისციპლინური და ინტერტექსტუალური შესწავლის პრინციპები;

1.28. ზეპირსიტყვიერი შემოქმედების სპეციფიკა და ფოლკლორის ჟანრები: აცნობიერებს ფოლკლორის როლს ქართველი ხალხის ისტორიაში, ყოფასა და კულტურაში, იცის ფოლკლორისტიკის მიმართება მოსაზღვრე დისციპლინებთან (ლიტერატურის ისტორია, ლიტერატურის თეორია, ისტორია, ეთნოლოგია, ენათმეცნიერება). იცნობს ქართველი ხალხის რელიგიური და მითოლოგიური აზროვნების ძირითადი მახასიათებლებს და ქართული მითოლოგიის მიმართება მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიურ სისტემებთან;

**პროგრამის არჩევითი მოდულებიდან რომელიმეს არჩევის შემთხვევაში ხდება ცოდნის კონცენტრაცია შემდეგი მიმართულებებით:**

**მოდული – ქართველური ენათმეცნიერება** (*ქართული ლექსიკოლოგია, მეგრული ენის გრამატიკა, სვანური ენის გრამატიკა; ქართული დიალექტოლოგია*) სტუდენტს აძლევს ქართული ენის გრამატიკის საკითხების უფრო ფართო ცოდნას, კერძოდ, მან იცის ქართული ენის ლექსიკოლოგია–ლექსიკოგრაფიის საკვანძო საკითხები, ქართული ენის დიალექტების თავისებურება, ქართველური ენების (მეგრული, სვანური) გრამატიკული სტრუქტურები და ფლობს ქართველური ენების ელემენტარულ ლექსიკას.

**მოდული – ქართული ლიტერატურა** (*რუსთველი და რუსთველოლოგია; ქართული მწერლობა შუასაუკუნეების აზროვნების კონტექსტში; მე-19 საუკუნის ქართველი კლასიკოსები; მე-20 საუკუნის ქართული მწერლობა ინტერკულტურულ მოვლენათა კონტექსტში*) სტუდენტს აძლევს უფრო ღრმა კომპეტენციებს ქართული ლიტერატურის საკითხებში, კერძოდ, მან იცის ქართველოლოგიის, ბიზანტიისტიკის და მედიევისტიკის ძირითადი პრობლემები, რუსთველოლოგიის საკვანძო საკითხები: XII ს. ქართული ლიტერატურის სპეციფიკა და მისი მიმართება ევროპულ და

	<p>აღმოსავლურ ლიტერატურებთან, უფრო ფართოდ იცნობს მე-19 საუკუნის ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებას და აანალიზებს მე-20 საუკუნის ქართულ მწერლობას ევროპულ ლიტერატურულ პროცესებთან მიმართებაში.</p> <p><b>მოდული – საგამომცემლო-სარედაქციო საქმე</b> (გამოცემის ფილოლოგია; ტექსტის რედაქტირება, კორექტირება და გამოცემა; ქართული მწერლობის ძეგლების პუბლიკაციის ისტორიისა და პრაქტიკის საკითხები) სტუდენტს შეასწავლის საგამომცემლო-სარედაქციო საქმის საფუძვლებს, კერძოდ, სტუდენტმა იცის ტექსტოლოგიის ძირითადი მეთოდოლოგიური სისტემები, იცნობს ქართული მწერლობის ძეგლების პუბლიკაციის ისტორიას, ფლობს ტექსტის რედაქტირებისა და კორექტირების ძირითადი პრინციპებს; იცნობს ტექსტის კრიტიკულ კვლევისა და პუბლიკაციისათვის მომზადების ძირითად მეთოდებს და აცნობიერებს ამ საქმიანობის მნიშვნელობას.</p>
<p>2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p><b>კურსდამთავრებულს შეუძლია:</b></p> <p>2.1. ლოგიკური მსჯელობა, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, სწორი დასკვნების და ფილოსოფიური ცნებებით ოპერირება;</p> <p>2.2. ჰუმანიტარულ სფეროში სხვადასხვა პრობლემატიკის ირგვლივ საკუთარი აზრის დამაჯერებლად ჩამოყალიბება/არგუმენტირება, მიზნის ადეკვატური ენობრივი ერთეულების შერჩევა და აკადემიურ გარემოში საჭირო სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების შექმნა ქართულ ენაზე;</p> <p>2.3. საშუალო ან საშუალოზე მაღალი სირთულის ტექსტის წაკითხვა და შექმნა ინგლისურ ენაზე.</p> <p>2.4. ერთ-ერთი სხვა ევროპული ენის (არჩევს შემთხვევაში) ცოდნის გამოყენება აკადემიური მიზნებისთვის;</p> <p>2.5. ერთ-ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენის (არჩევით) ცოდნის გამოყენება აკადემიური მიზნებისთვის;</p> <p>2.6. ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;</p>

- 2.7. ძირითადი ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდების გამოყენება ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის (ნაშრომის) განსახორციელებლად;
- 2.8. ენათმეცნიერული ტერმინოლოგიის გამოყენებით ლინგვისტური ფაქტების, მოვლენებისა და პროცესების აღწერა, გაანალიზება და შეფასება;
- 2.9. სხვადასხვა პერიოდისა და ჟანრის ძველი ქართული ტექსტებისთვის ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი კომენტარების მომზადება;
- 2.10. საშუალო სირთულის ძველი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებისა და ხელნაწერების წაკითხვა;
- 2.11. ძველი და ახალი ქართული ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების გამოყენება;
- 2.12. ლიტერატურულ ტექსტებზე დაკვირვება, მათი აღწერა და ინტერპრეტაცია;
- 2.13. შესაბამისი უცხო ენის ფლობის შემთხვევაში შეუძლია მარტივი ლიტერატურული ნაწარმოების თარგმნა ქართულ ენაზე ლიტერატურული სტილის ნორმებისა და თარგმანის სტილისტიკის წესების დაცვით.
- 2.14. შეუძლია ქართული ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების ერთ მთლიან კულტურულ კონტექსტში გააზრება.

**პროგრამის არჩევითი მოდულებიდან რომელიმეს არჩევის შემთხვევაში სტუდენტს დამატებით ექნება პრაქტიკული უნარები შესაბამისი მიმართულებებით:**

**მოდული – ქართველური ენათმეცნიერება**

სტუდენტს შეუძლია წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ქართული ენის ლექსიკური ფონდის ანალიზი და ტექსტების ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით განხილვა და შეძენილი ცოდნას გამოიყენება სხვა ენათა ლექსიკოლოგიის შესწავლისას; მეგრულ და სვანურ ენობრივ ნიმუშთა ანალიზი, დიალექტოლოგიური მასალის აღწერა და ანალიზი.

**მოდული – ქართული ლიტერატურა**



	<p>სტუდენტს შეუძლია შუა საუკუნეების და რენესანსული კულტურების უმთავრესი სააზროვნო საკითხების ინტერპრეტირება და ლიტერატურული ნაწარმოების შესაბამის ისტორიულ, ინტელექტუალურ, კულტურულსა და ინსტიტუციურ კონტექსტთან მათი დაკავშირება;</p> <p><b>მოდული – საგამომცემლო –სარედაქციო საქმე</b></p> <p>სტუდენტს აქვს ტექსტის პუბლიკაციისთვის საჭირო პრაქტიკულ უნარები და შეუძლია ტექსტის გამოსაცემად მომზადება, იგი გამოავლენს და ასწორებს ტექსტში დაშვებულ ლოგიკურ-აზრობრივ და ენობრივ-სტილისტურ შეცდომებს.</p>
<p>3. დასკვნის უნარი</p>	<p><b>კურსდამთავრებულს აქვს უნარი:</b></p> <p>3.1. ქართველური ენათმეცნიერების, ქართული ლიტერატურის, ლიტერატურათმცოდნეობის, თარგმანმცოდნეობის, ზეპირსიტყვიერების და საგამომცემლო საქმის სფეროებისათვის დამახასიათებელი მონაცემების მოპოვებისა და მათ საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების;</p> <p>3.2. ახალი მონაცემების ანალიზის ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდების გამოყენებით (ანალიზი და სინთეზი).</p> <p>3.3. პრობლემების ამოცნობისა და მათი გადაჭრის უნარი ქართული ლიტერატურათმცოდნეობისა და ლინგვისტური ცოდნის გამოყენებით.</p> <p>3.4. ქართული ფილოლოგიის სფეროში არსებული საშუალო სირთულის პრობლემების იდენტიფიკაციის და თანამედროვე მეთოდების გამოყენებით მათი გადაჭრის გზების მოძიების უნარი;</p> <p>3.5. ანალიზის შედეგად დასკვნის გაკეთების უნარი.</p>
<p>4. კომუნიკაციის უნარი</p>	<p><b>კურსდამთავრებულს შეუძლია:</b></p>

	<p>4.1. ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით და ქართული ლიტერატურული მასალის გამოყენებით.</p> <p>4.2. ქართული ენისა და ლიტერატურის არსებითი საკითხების შესახებ კომუნიკაცია როგორც სპეციალისტთა, ასევე არასპეციალისტთა წრეში.</p> <p>4.3. ქართული ფილოლოგიის სფეროში დეტალური წერილობითი ანგარიშის, საჯარო გამოსვლის ტექსტის, საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადება როგორც ქართულ, ისე უცხო ენაზე;</p> <p>4.4. სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ქართულ ფილოლოგიასთან დაკავშირებული ინფორმაციის ზეპირად გადაცემა როგორც ქართულ, ისე უცხო ენაზე;</p> <p>4.5. დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობა და აუდიტორიის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემა;</p> <p>4.6. სწავლებისა და კვლევის პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების, ქართულ ფილოლოგიასა და ზოგადად ფილოლოგიურ მეცნიერებებში არსებული უახლესი ელექტრონული რესურსების გამოყენება.</p>
<p>5. სწავლის უნარი</p>	<p><b>კურსდამთავრებული აქვს უნარი:</b></p> <p>5.1. დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარებით, სპეციალური, ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის მიღების;</p> <p>5.2. წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების მიხედვით, ხელმძღვანელის მეთვალყურეობით კვლევითი სამუშაოს შესრულების;</p> <p>5.3. სასწავლო გეგმის თითოეული საგნის მომზადების სისტემატურ პროცესში სტუდენტი გამოიმუშავეს დროის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარს.</p> <p>5.4. ბაკალავრიატში სწავლისას გამოკვეთილი ინტერესების მიხედვით სტუდენტი ადგენს შემდგომ სწავლის მიმართულებას.</p>
<p>6. ღირებულებები</p>	<p><b>კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს:</b></p>

	<p>6.1. პროფესიული ეთიკის ნორმები;</p> <p>6.2. საქართველოში ქართული ენისა და ლიტერატურის მნიშვნელობა და ზრუნავს ენის სიწმინდის დაცვისა და ლიტერატურის შესწავლისათვის;</p> <p>6.3. ზოგადად ფილოლოგიურ, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში არსებული ეთიკური პრობლემები, აქვს მათი გაანალიზების, შესაბამისი გადაწყვეტილებების შერჩევისა და დაცვის უნარი;</p> <p>6.4. საკუთარი პროფესიისადმი და სამუშაო გარემოსადმი პატივისცემის გრძნობა;</p> <p>6.5. დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა;</p> <p>6.6. ტოლერანტობისა და ინტელექტუალური საკუთრების, პიროვნების თავისუფლებისა და საკუთარი ერის წინაშე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა;</p> <p>6.7. კულტურული მრავალფეროვნების, პიროვნულ განსხვავებათა პატივისცემა და დაფასება.</p> <p>6.8. ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებებისადმი პატივისცემის გრძნობა.</p>
--	---

**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:**

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, საბაკალავრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, დემონსტრირების მეთოდი და სხვ.). ამასთან, სწავლების პროცესში დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილებისა და განათლების მეცნიერებების განვითარების უახლესი ვითარების გათვალისწინებით გამოყენებულია დემონსტრირების თანამედროვე ტექნოლოგიები.

სისტემატურად ეწყობა ექსკურსიები საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებში. პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე საქართველოს ისტორიული ძეგლების მონახულებას. ეწყობა ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქართული ენის დიალექტების, ქართველური ენებისა და ფოლკლორული მასალების შესაკრებად. გარდა ამისა, სასწავლო პროცესის გაღრმავების მიზნით ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები და ლიტერატურული საღამოები. სტუდენტები ინფორმირებული და ჩართული არიან ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და ქართული ენის ინსტიტუტის მუდმივმოქმედ სამეცნიერო სემინარის მუშაობაში.

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:** პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 05.01.07 და უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

პროგრამის სტუდენტთა დატვირთვა მოიცავს: ა) ლექციებზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობას; ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას; გ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას; დ) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე (საბაკალავრო ნაშრომი, თარგმანი, მოხსენება კონფერენციაზე და სხვ.) მუშაობას; ე) საბაკალავრო ნაშრომის დაცვას ვ) სხვა სახის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობას (პრაქტიკა, ექსპედიცია...) ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არანაკლებ ოთხ კომპონენტს. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არანაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი, ზეპირი ან კომბინირებული წერა/ზეპირი გამოცდა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით/მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში.

**დასაქმების სფეროები:** ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შემენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საქართველოს ყველა სახელმწიფო და არასამთავრობო საზოგადოებრივი და ჰუმანიტარული სტრუქტურის დაწესებულებაში, სადაც საჭიროა ქართულ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ქართული ლიტერატურისა და ზოგადად კულტურის საფუძვლების ცოდნის გამოყენებით, კერძოდ:

- განათლების სფერო ( პედაგოგიკის დამატებითი პროგრამის არჩევის შემთხვევაში)
- კულტურის სფეროს დაწესებულებები;
- ბიბლიოთეკები და საისტორიო-ლიტერატურული არქივები;
- საგამომცემლო დაწესებულებები: რედაქციები, გამომცემლობრები;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ-გამოცემები და სხვ.);
- სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციები (ასისტენტად, ლაბორანტად და სხვ.);
- საჯარო სექტორი

- კერძო სექტორი
- არასამთავრობო სექტორი

**სასწავლო გეგმა:** იხ. დანართი N 1.

**სილაბუსები:** იხ. დანართი N 2.

**პროგრამის ხელმძღვანელები:** პროფესორები: ელგუჯა ხინთიბიძე, რამაზ ქურდაძე

**დამატებითი ინფორმაცია:** ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის დაწყება რეკომენდებულია მეორე სემესტრიდან. ქართული ფილოლოგიის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს საშუალება აქვს ბაკალავრიატში სწავლის მანძილზე აიღოს დამოუკიდებელი, დამატებითი (ე. წ. minor) საბაკალავრო პროგრამა პედაგოგიკაში და ერთწლიანი პედაგოგიკის სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ მიიღოს სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მაძიებლის სტატუსი, მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში მოიპოვებს მასწავლებლობის უფლებას. გარდა ამისა, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს საშუალება აქვს მოემზადოს ქართული ფილოლოგიის დარგში მეცნიერული და უმაღლეს სკოლაში პედაგოგიური მუშაობისათვის სამაგისტრო პროგრამების გავლის გზით.

**major/minor პროგრამების კომბინაციები:** რეკომენდაციის სახით წარმოვადგენთ major/minor პროგრამების კომბინაციებს, რომელთა პარალელური დაუფლება მომგებიანი იქნება სტუდენტისათვის ბაკალავრიატში სწავლებისას გამოკვეთილი საკუთარი პროფესიული ინტერესების მიხედვით ცოდნის გაღმავების და შესაბამისი მიმართულებით დასაქმებისათვის: ისტორია, ფილოსოფია, ჟურნალისტიკა, კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტინისტიკა, არაბისტიკა, ირანისტიკა, არმენოლოგია, ეთნოლოგია.

**ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:** პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები და მასწავლებლები, რომელთაც აქვთ ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ჩართული პროფესორები სისტემატურად იღებენ მონაწილეობას მოხსენებებით საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში საქართველოსა და მის ფარგლებს

გარეთ, რაც უზრუნველყოფს სამეცნიერო მუშაობის ინტერნაციონალიზაციას. სრული პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე ხელმძღვანელობს საერთაშორისო ქართველოლოგიურ სკოლის ცენტრს, ქართველოლოგიურ სიმპოზიუმებს, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „ქართველოლოგს“ (ბეჭდური და ელექტრონული სახით) და ქართველოლოგიურ საზაფხულო სკოლას, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ მკვლევრებსა და სტუდენტებს მასპინძლობს და ხელს უწყობს ქართველ და უცხოელ მკვლევართა და სტუდენტთა ერთობლივ სასწავლო-სამეცნიერო მუშაობას ქართველოლოგიის სფეროში. ე. ხინთიბიძე სისტემატურად მონაწილეობს მედიევისტიკისა და ბიზანტიისტიკის მსოფლიო კონგრესებში ქართველოლოგიური მეცნიერების მიღწევების საერთაშორისო ასპარეზზე გამუქების მიზნით.

საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა და უცხოეთის კვლევით ცენტრებში სამეცნიერო მივლინებები ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის პროფესორთა ერთ-ერთი პრიორიტეტია, მაგალითად, სრული პროფ. რამაზ ქურდაძე 2007–2008 წლებში იმყოფებოდა აშშ-ში, ნიუ იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტში (სტონი ბრუკი) ფულბრაიტის პროგრამით, 2011 წელს - დარტმუთის კოლეჯში (ნიუჰემპშირი) მასწავლებელთა განვითარების მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში „ღია საზოგადოება საქართველოს“ ხელშეწყობით. სრული პროფესორი ირმა რატიანი 2006 წელს ჩართული იყო პროგრამაში „საუნივერსიტეტო მართვა და პროფესიონალიზმი“, რომელიც განხორციელდა უნგრეთში, ცენტრალურ ევროპულ უნივერსიტეტში. გარდა ამისა, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ჩართული პროფესორები (კ. ლორია, მ. ელბაქიძე, თ. პაიჭაძე, რ. ნიშნიანიძე, ე. გოგიაშვილი და სხვ.) სისტემატურად მიემგზავრებიან სამეცნიერო მივლინებით ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, აქვეყნებენ ევროპულ ენებზე მონოგრაფიებს და სტატიებს ქართველოლოგიის სფეროში საერთაშორისო ჟურნალებსა და კრებულებში.

**პროფესორები:** ე. ხინთიბიძე, რ. ქურდაძე, ი. რატიანი, კ. ლორია, დ. თვალთვაძე,

**ასოცირებული პროფესორები:** ა. ხარანაული, ნ. შარაშენიძე, კ. გაბუნია, მ. ნიკოლაიშვილი, მ. ლომია, ი. სანიკიძე, გ. შაბაშვილი, ნ. სულავა, მ. ელბაქიძე, ლ. ხაჩიძე, ნ. გონჯილაშვილი, რ. ჭილაია, თ. პაიჭაძე, რ. ნიშნიანიძე, რ. ბურჯანაძე, თ. ქურდოვანიძე, ქ. სიხარულიძე, ლ. მინაშვილი, თ. შარაბიძე.

**ასისტენტ-პროფესორები:** ე. გოგიაშვილი, ს. ტაბუცაძე.

**მოწვეული პროფესორები:** ზ. ჭუმბურიძე, თ. ცხადაია, ლ. გრიგოლაშვილი, გ. ფარულავა, ხ. ზარიძე, თ. ბარბაქაძე, ხ. მამისიმედიშვილი.

**პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:**

თსუ ბიბლიოთეკა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, რუსთაველის კაბინეტის ბიბლიოთეკა, ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი, ქართული ენის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, ტოგო გუდავას ფონდი, ვარლამ თოფურიასა და გურამ თოფურიას ფონდი, რესურს-ცენტრი თსუ მე-2 ,მე-5 , მე-8 კორპუსებში.

## დამატებითი საბაკალავრო პროგრამა – ქართული ფილოლოგია

**დამატებითი საბაკალავრო პროგრამის დასახელება:** ქართული ფილოლოგია Georgian Philology

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 60 ECTS კრედიტი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე მოქმედი ქართული საბაკალავრო დამატებითი პროგრამა ინარჩუნებს ამავე დარგის ძირითადი საბაკალავრო პროგრამის ფილოლოგიურ პროფილს.

პროგრამის მიზანია ქართული ფილოლოგიის საკითხებით დაინტერესებული სტუდენტისთვის ცოდნის მიწოდება ქართველური ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის საბაზისო ცოდნის შეძენის საფუძველზე.

დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს კვალიფიკაციასა და აკადემიურ ხარისხს.

პროგრამა ითვალისწინებს ზოგადად ფილოლოგიის და კერძოდ, ქართული ფილოლოგიის დარგში სწავლების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს და მსოფლიო ფილოლოგიური სასწავლო და კვლევითი ცენტრების გამოცდილებას.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო დამატებითი პროგრამა მასში ჩართული აკადემიური რესურსით, სასწავლო კომპონენტით მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ფართო ცოდნა და გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები, აგრეთვე უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** წინაპირობის გარეშე

**სწავლის შედეგი:**

